ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმი და დე-რადიკალიზაციის პროგრამების გამოწვევები ევროკავშირის ქვეყნებში

ანა ასლამაზაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (მიმართულება - პოლიტიკის მეცნიერება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

სარჩევი

აბსტრაქტი: iv

Abstract: v

1. შესავალი/საკითხის აქტუალურობა 1

1.1. ლიტერატურის მიმოხილვა 3

1.1.1. რადიკალიზაციისა და ულტრა მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის ზოგადი კონცეფციები 3

1.1.2. ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის ინტერნეტ სივრცეში გადასვლა 6

1.1.3. კონტრ-ტერორიზმი, დე-რადიკალიზაციის და დეზინტეგრაციის ზოგადი კონცეფციები 7

2. თეორიული მიდგომები 9

3. მეთოდოლოგია 16

4. ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმი და დე-რადიკალიზაციის პროგრამების გამოწვევები ევროკავშირის ქვეყნებში 18

4.1. საფრანგეთი 18

4.1.1. 2018-2020 წლების ტერორიზმის ტრენდები 20

4.1.2. დე-რადიკალიზაციის პროგრამებში ჩართული მხარეები 22

4.1.3. კვლევა და ინტერვენცია ექსტრემისტულ ძალადობაზე (RIVE) 24

4.1.4. ინდივიდუალური მხარდაჭერისა და სოციალური რე-აფილიაციის პროგრამა (PAIRS) 26

4.2. გერმანია 27

4.2.1. 2018-2020 წლების ტერორიზმის ტრენდები 29

4.2.2. დე-რადიკალიზაციის პროგრამებში ჩართული მხარეები 30

4.2.3. "Exit-გერმანია" 31

4.2.4. რადიკალიზაციის პრევენცია და დე-რადიკალიზაცია ციხესა და პრობაციაზე 33

4.2.5. The On/Off DERAD 35

4.3. ფინეთი 36

4.3.1. 2018-2020 წლების ტერორიზმის ტრენდები 38

4.3.2. დე-რადიკალიზაციის პროგრამებში ჩართული მხარეები 39

4.3.3. „RadicalWeb“ პროგრამა 41

4.3.4. „Aggredi პროგრამა“ 42

4.4. შვედეთი 44

4.4.1. 2018-2020 წლების ტერორიზმის ტრენდები 46

4.4.2. დე-რადიკალიზაციის პროგრამებში ჩართული მხარეები 47

4.4.3. „Exit-შვედეთი“ 49

5. კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი და დასკვნა 51

ბიბლიოგრაფია 57

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 კონტრ-ტერორიზმის ქსელი 10

აბსტრაქტი:

ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმი ევროკავშირის ქვეყნებში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და სახელმწიფოებისთვის არსებით გამოწვევას წარმოადგენს. 2014 წელს ევროკავშირმა წარმოადგინა 10 პუნქტიანი სარეკომენდაციო წერილი, სადაც საუბარი იყო ულტრა-მემარჯვენე ექსტრემიზმის მზარდ საფრთხეზე. ასევე, კონტრ-ტერორიზმის კუთხით დე-რადიკალიზაციის პროგრამების გაძლიერებასა და ე.წ. „Exit Strategy"-ის ინტეგრირებაზე.

კვლევის მიზანია შეისწავლოს თუ რატომ იქცა ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმი ევროკავშირის ქვეყნების დე-რადიკალიზაციის პროგრამების გამოწვევად. ასევე, შეაფასოს რამდენად ეფექტურია სამთავრობო და არასამთავრობო დე-რადიკალიზაციის პროგრამები ულტრა-მემარჯვენე ექსტრემისტული საფრთხის წინაშე. კვლევაში ხაზი ესმევა ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის ინტერნეტ სივრცეში გადასვლას და ინტერნეტში რადიკალიზაციის კონცეფციის ფორმატისა და კონტენტის ცვლილებას, რაც ართულებს საფრთხესთან გამკლავების პროცესს. ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამების ინსტრუმენტებისა და შინაარსის შეცვლა ულტრა-მემარჯვენე ექსტრემიზმის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, რაც ზრდის დე-რადიკალიზაციის და დეზინტეგრაციის პროგრამების ეფექტურობას.

კვლევაში განხილულია ოთხი ევროკავშირის ქვეყნის, კერძოდ, საფრანგეთის, გერმანიის, ფინეთისა და შვედეთის დე-რადიკალიზაციის პროგრამები, მასში ჩართული მხარეები და ასევე, მიმოხილულია ტერორიზმის ტრენდები 2018-2020 წლებში. ამასთანავე, წარმოდგენილია მოცემულ ოთხ ქვეყანაში განხილული დე-რადიკალიზაციის პროგრამების ანალიზი, რომელმაც გამოავლინა აღნიშნული პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეები. საბოლოოდ, კვლევა ასახავს ჩამოთვლილ ოთხ ქვეყანაში დე-რადიკალიზაცის პროგრამების წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზებს და ასევე, კრიტიკულად აფასებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას აღნიშნულის მიმართ.

ძირითადი სიტყვები: რადიკალიზაცია, დე-რადიკალიზაცია, ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმი, ინტერნეტ რადიკალიზაცია, დე-რადიკალიზაციის პროგრამები.

Abstract:

During recent years, far-right violent extremism has increased significantly and became the essential threat for the European Union countries. In 2014, European Commission presented recommendation letter consisting 10 article which noted the increasing threat of far-right violent extremism. Also, with regard to counter-terrorism strategy, it was highlighted to strengthen de-radicalization programs and integrate so-called 'Exit-Strategies'.

The aim of this paper is to understand why far-right violent extremism became challenge for European Union countries. Also, to examine the effectiveness of governmental and non-governmental de-radicalization programs against far-right violent extremism threat. In the paper, it is highlighted that the shifting process of radicalization into internet and the changes in its content complicates to tackle given threat. However, the change within program instruments and content of governmental and non-governmental programs based on existing challenges posed by far-right violent extremism increases the effectiveness of de-radicalization and disintegration programs.

The paper examines de-radicalization programs in 4 European Union countries: France, Germany, Finland and Sweden. Also, highlights the stakeholders involving in the process and 2018-2020 terrorism trends. At the same time, the analysis of de-radicalization programs in four above mentioned countries and its strengthes and weaknesses are assessed. Finally, paper calls attention to the causes of successful and unsuccessful de-radicalization programs in four above mentioned countries and critically assesses their governments' position towards this topic.

Keywords: Radicalization, De-radicalization, Far-right Violent Extremism, Internet Radicalization, De-radicalization Program.